ჯონ ლოკი არის მოაზროვნე, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი იდეები. რა თქმა უნდა, დღეს გაცილებით მეტს ვსაუბრობთ დემოკრატიის არსზე, თუმცა პრაქტიკულად ყველა ძირითადი იდეა უკვე ლოკთან არის მოცემული საკმაოდ ჩამოყალიბებული სახით. ეს ეხება ადამიანის უფლებების კონცეფციასაც, ძირითად მონახაზს სამოქალაქო საზოგადოების იდეისა, სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობას, აგრეთვე, აჯანყების ან რევოლუციის უფლებას, ანუ ადამიანების უფლებას დაუპირისპირდნენ ტირანულ სახელმწიფოს. შემთხვევითი არ არის რომ ლოკის ეს ტექსტი, „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“, უკავშირდება ინგლისის ე.წ. დიად რევოლუციას, რომელიც მე-17 საუკუნის ბოლოს, 1688-89 წლებში მოხდა. ინგლისის დიად რევოლუციას ტყუილად არ ჰქვია დიადი, ანუ Glorious Revolution, იმიტომ რომ ის არის პირველი პოლიტიკური მოვლენა, რომელიც წყალგამყოფია ტრადიციულ მონარქიულ წყობასა და თანამედროვე დემოკრატიულ წყობას შორის. სხვა,ასეთი დიდი რევოლუციებია საფრანგეთის რევოლუცია, ამერიკის რევოლუცია, მაგრამ ინგლისის რევოლუცია იყო პირველი, ის 100 წლით უსწრებს სხვა რევოლუციებს. ამ რევოლუციის დროს ფორმალურად თითქოს იმდენი რამ არ შეცვლილა, განსხვავებით ინგლისის სამოქალაქო ომისგან, არ მოუკვეთიათ თავი მეფისთვის და არც სამოქალაქო დიქტატურა გამეფებულა. ამ დროს ერთი მეფე შეიცვალა მეორე მეფით, მაგრამ ამით საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონსენსუსი, რომ მეფის ძალაუფლება უნდა იყოს შეზღუდული, ანუ ჩამოყალიბდა კონსტიტუციური მონარქიის სისტემა, მეფე მართავს, თუმცა ის მოქმედებს კონსტიტუციის ფარგლებში, რომელსაც იღებს პარლამენტი. ამის შემდეგ ინგლისში რევოლუცია აღარ მომხდარა, რადგან საჭირო აღარ იყო, ინგლისის პოლიტიკური სისტემა შეიცვალა თანდათანობით დიადი რევოლუციის შემდეგ . ეს შეცვლა, თანდათანობითი ევოლუცია ძირითადად შეეხო ორ საკითხს, პირველი, რომ მეფის ძალაუფლებას სულ უფრო ცერემონიული და სიმბოლური გახდა, მეორე მხრივ, საარჩევნო უფლებას, ანუ იმ ადამიანების წრე, რომელიც ირჩევდა პარლამენტს გაფართოვდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოხდა თანდათან და ინგლისი მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში მივიდა საყოველთაო საარჩევნო უფლებამდე, როდესაც უკვე ქალებსაც მიეცათ ხმის მიცემის უფლება. მაგრამ, ძირითადი პრინციპი იდეისა სწორედ დიადი რევოლუციის დროს ჩამოყალიბდა და ამ დროს მოღვაწეობდა ჯონ ლოკი. მისი „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“ არის ერთგვარად ჩამოყალიბება „დიადი რევოლუციის“ ძირითადი პრინციპებისა, თუმცა ნაშრომი გამოქვეყნდა რევოლუციის შემდგომ და პოპულარობაც საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ჰპოვა, მაგრამ ლოკის იდეებსა და აღნიშნულ ისტორიულ ხდომილებას შორის კავშირი აშკარაა.

ლოკის ამოცანა არის როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური, ის აკრიტიკებს იმ თეორიას, რომელსაც ემხრობოდნენ აბსოლიტური მონარქიის მომხრეები, და ამას აკეთებს გაცილებით უფრო დაწვრილებით და სისტემურად, ვიდრე ჰობსი. ჰობსი უბრალოდ არ იზიარებს ამ თეორიას და მის კრიტიკაზე არ უთმობს დიდ დროს. ლოკი ასაბუთებს რატომ არ არის სწორი მეფეთა საღვთო თეორია, კერძოდ ის რობერტ ფილმერის, ამ თეორიის მომხრის არგუმენტებს ეკამათება. ფილმერის აზრით, მეფის ხელისუფლება გავს ოჯახში

მამის ძალაუფლებას, ანუ როგორც ოჯახს სჭირდება ხელმძღვანელი, თავი, ისე სახელმწიფოს სჭირდება იგი. ეს ხედვა ადასტურებს, რომ მეფის ძალაუფლება ბუნებითი წესრიგის ნაწილია და ამიტომ ადამიანებს არ აქვთ უფლება ის ეჭვის ქვეშ დააყენონ, მაგრამ ლოკის ამოსავალი წერტილი არის ის რომ ძალაუფლების სხვადასხვა სახეები უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, პოლიტიკური ძალაუფლება არის ერთ-ერთი ძალაუფლების სახეთაგან და ის პრინციპულად განსხვავდება მშობლის ძალაუფლებისაგან შვილზე. მამის ძალაუფლება ემყარება არა მხოლოდ იმას, რომ ის მამაა და ეკუთვნის ძალაუფლება, არამედ იმასაც რომ შვილები არიან მცირეწლოვნები, მათ არ აქვთ იმის უნარი და შესაძლებლობა რომ მოუარონ საკუთარ თავს და ამიტომ მამის ძალაუფლება შვილებზე გრძელდება მანამდე, სანამ შვილებს არ ექნებათ უნარი საკუთარი თავი შეინახონ. მას შემდეგ, რაც შვილები ხდებიან სრულწლოვანები, მათგან მამას ეკუთვნის პატივისცემა, მაგრამ ძალაუფლება მთავრდება, სრულწლოვანი შვილები უკვე მოახერხებენ თავიანთი თავის მიხედვას. რატომაა ეს მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ რაკი ადამიანებს გვაქვს გონება, უნარი ჩვენით მივიღოთ გადაწყვეტილებები, ჩვენ აღარ შეგვიძლია და არ იქნება სწორი რომ თავისთავად მოცემულობად მივიღოთ ხელისუფლება, დავემორჩილოთ უბრალოდ იმიტომ, რომ ის არის ხელისუფლება. პოლიტიკური ძალაუფლება მამის ძალაუფლებისგან, ლოკის აზრით, განსხვავდება იმით პოლიტიკურ ძალაუფლებას სჭირდება ქვეშევრდომთა თანხმობა, ის ლეგიტიმურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეშევრდომები მას ეთანხმებიან. თუ როგორი უნდა იყოს ის ხელისუფლება, რომელსაც ქვეშევრდომები დაეთანხმებიან, ამ საკითხს ეთმობა ლოკის ნაშრომის ძირითადი ნაწილი. ბუნებრივია, რომ ლოკი შევადაროთ ჰობსს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ერთ საუკუნეში იყვნენ და მეფის ძალაუფლებისა და პარლამენტის ბრძოლის კონტექსტში აზროვნებდნენ, არამედ მათი სქემა საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს, ამოსავალი მათ თითქმის ერთი და იგივე აქვთ, მაგრამ შედეგები რადიკალურად განსხვავებული. ლოკიც, როგორც ჰობსი, ამოდის ბუნებითი მდგომარეობის ცნებიდან, სადაც არ არსებობს სახელმწიფო და ყველა ადამიანი არის თავისუფალი და თანასწორი, მაგრამ ამ საწყისიდან შემდეგ ისინი სულ სხვა გზით მიდიან და ამ განსხავების წინაპირობა არის ის რომ მათ განსხვავებულად ესმით ადამიანის ბუნება, თუნდაც ბუნებით მდგომარეობაში. ჰობსთან ადამიანის ერთადერთი მამოძრავებელი იყო საკუთარი სიცოცხლის დაცვა და მას არანაირი შეზღუდვები არ ჰქონდა, ყველაფერი დაშვებული იყო, იმიტომ რომ არ არსებობდა არანაირი მორალური კანონი. ლოკი უკვე ბუნებით მდგომარეობაში უშვებს გარკვეულ შეზღუდვას. ეს შეზღუდვა უკავშირდება რელიგიას, თუმცა არა რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ მიმდინარეობას. კერძოდ, ის ამბობს, რომ ადამიანს არ აქვს უფლება საკუთარი სიცოცხლე ხელყოს, ეს დაუშვებელია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არაბუნებრივია, არამედ იმიტომაც რომ სიცოცხლე მისცა ღმერთმა და მას აღარ აქვს უფლება ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლე ხელყოს. თუ ეს ლოგიკა არსებობს, მაშინ ადამიანს არც იმის უფლება აქვს, რომ სხვისი სიცოცხლე დააყენოს საფრთხის ქვეშ, თუ მისგან უშუალოდ კონკრეტული საფრთხე არ ემუქრება. ცხადია, თავდაცვის უფლება აქვს ყველას და თავდამსხმელი ადამიანს შეუძლია მოკლას, თუმცა თუ თავდასხმა პროვოცირებული არ არის, მაშინ ეს დაუშვებელია, რადგან სიცოცხლე არ არის

შემთხვევითობა და იგი ღმერთის მიერაა ბოძებული. ასე რომ რაღაც, შეიძლება მინიმალური, რელიგიური საფუძველი აქვს ლოკის მოძღვრებას. სხვა ენაზე რომ ვთარგმნოთ, ადამიანი არის მორალური არსება, მას ძირითადი მორალური პრინციპები ბუნებით მდგომარეობაშიც აქვს დასაბამითვე და ის მისი ადამიანურობის ნაწილია, ყველაზე ძირეული უფლება კი ადამიანის სიცოცხლის უფლებაა და იგი არ შეიძლება ხელვყოთ არც სხვისი და არც საკუთარი. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ ლოკი აფართოებს სიცოცხლის უფლებას და ცნებას და ის მას უკავშირებს თავისუფლებისა და საკუთრების ცნებებს, ანუ თავისუფლებისა და საკუთრების ხელყოფა ექვივალენტურია სიცოცხლის ხელყოფისა. თუ ადამიანის თავისუფლებას ხელყოფ, შენ მას იმონებ, დამონება კი ნიშნავს რომ ძალაუფლებას მოიპოვებ მის სიცოცხლეზე, ანუ ბატონის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მონის სიცოცხლე. ასევეა საკუთრებაც, ანუ იმისათვის, რომ სიცოცხლე გავაგრძელო არ არის საკმარისი რომ ვიყო ცოცხალი, საჭიროა შესაძლებლობა იმისა რომ ვიზრუნო ჩემს სიცოცხლეზე, სხეულის გამოკვებაზე და ეს შეუძლებელია საკუთრების გარეშე, ამიტომ მე თუ საკუთრება არ მექნება, მე სიცოცხლეს ვერ შევინარჩუნებ. ლოკის ნააზრევს გასდევს ეს ექვივალენტურობა და ის საუბრობს სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებებზე და ხანდახან თავადვე აღნიშნავს იმას, რომ მოკლედ თქმისათვის თუ ახსენებს მხოლოდ საკუთრებას, აქვე იგი გულისხმობს სიცოცხლესა და თავისუფლებასაც, იმიტომ რომ ეს სამი რამ არის პრაქტიკულად ერთი და იგივე ერთად უნდა მოიაზრებოდეს.

რაკი ადამიანის არსი სხვაგვარად გვესმის,ადამიანის ბუნება სხვაგვარად გვესმის,ასევე სხვაგვარად გამოჩნდება ლოკის ფილოსოფიაში სხვა ძირითადი ცნებები,ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლების მცნების გაგება რა გვესმის თავისუფლებაში. ნუ,აქაც შეგვიძლია შევადაროთ ჰობსს. ჰობსს თავისუფლება ესმოდა ისე როგორც ალბათ,ადამიანების უმრავლესობას ესმის დღესაც,როგორც გარე შეზღუდების არ არსებობა რასაც მინდა იმას გავაკეთებ ე.ი თავისუფალი ვარ! ვერავინ ვერაფერში ვერ შეგვზღუდავს და ასე ესმოდათ ადამიანებს თავისუფლება ხშირად და ჩვეულებრივ და ასე გაგებული თავისუფლება მაინცდამაინც პოზიტიურ ღირებულებად არ აღიქმებოდა,იმიტომ,რომ თავისუფლება ასოცირდებოდა.ნუ,უწესრიგებოსთან ვისაც რა „მოეპრიანება“ და ვისაც თავში რა მოუვა იმას გააკეთებს,უზნეობასთან შეიძლება გარყვნილებასთან,შიძლება სიგიჟესთან,როდესაც ვამბობთ,რომ „გიჟი თავისუფალია“,ანუ თავისუფალი რაღაც... გიჟის ქცევაა თავისუფალი... და თუნდაც იმავე ჰობსთან დავინახეთ,რომ ასეთი შეუზღუდველი თავისუფლებამ მოიტანა „ომი ყველასი,ყველას წინააღმდეგ“,ანუ ძალიან ცუდი ვითარება და არათავისუფლების ვითარება,სახელმწიფო ვითარება,სადაც ადამიანები შეზღუდულები არიან გაცილებით უკეთესია თვითონ ადამიანებისთვის. ანუ ადამიანისთვის უკეთესია,რომ არ იყოს თავისუფალი,გარე შეზღუდვები ჰქონდეს ,ეს გარე შეზღუდვები შეიძლება იყოს სახელმწიფო,შეიძლება იყოს რელიგია,შეიძლება იყოს ტრადიცია,მაგრამ ამ გარე შეზღუდვებისაგან თავისუფლება არის ძალიან ცუდი,იმიტომ რომ მოუწესრიგებელ,არაჰარმონიულ და სახიფადოდაც აქცევს ცხოვრებას და შესაბამისად ნუ, თუ ასე დავინახავთ თავისუფლებას ალბათ ძალიან

ძნელია,რომ რაღაც ლიბერალური წესრიგი პოზიტიურად დავინახოთ,იმიტომ,რომ ნუ,ლიბერალიზმი ჰქვია ისეთ მიმდინარეობას,რომელიც სწორედ ადამიანის,ინდივიდის თავისუფლებას განიხილავს მაღალ ღირებულებად,ამიტომ ეს მხოლოდ ლოკის აზრი არ არის თანამედროვე ევროპულ რაციონალიზმში თავისუფლება ესმით სხვანაირად,როგორც თვითნებობის საპირისპირო ცნება არსებობს თვითნებობა,რომელიც არის ასე ვთქვათ აფექტური მცნება,ანუ როდესაც რაც „მოგეპრიანება“ იმას აკეთებ და როდესაც შენს აფექტებს რაღაც მიდრეკილებებს,იმპულსებს,კაპრიზებს მიყვები,მაგრამ ამას არ ჰქვია თავისუფლება.თავისუფლება ეს ნიშნავს ქცევას გონების მიხედვით,გონების კანონების მიხედვით,გონივრულ,გონიერ ქცევას,ოღონდ ეს არის შენი გონება ე.ი შენ ვიღაცის თავს მოხვეული გონებით არ ხემძღვანელობ,მაგრამ აქვს საკუთარი აფექტები და კაპრიზებით არ ხელმძღვანელობ. აი,ამას ჰქვია თავისუფლება,ანუ სხვა გამოჩენილ ევროპელ ფილოსოფოსს პინოზას აქვს ტრაქტატი ვთქვათ,ნაშრომი ადამიანის მონობის შესახებ და ის ადამიანის მონობაზე,რომ საუბრობს ის გულისხმობს არა რაღაც მონათმფლობერულ წყობას,არამედ გულისხმობს აფექტების მონობას. ადამიანი მონაა,როდესაც ის რაღაც თავის ემოციებს და გრძნობებს მიყვება და ვერ აღუდგება საკუთარ იმპულსებს და ის თავისუფალია როდესაც მიყვება გონებას. ეს არის სწორედ ძალიან მნიშვნელოვანი ხედვა ეროპული ლიბერალიზმისთვის და სწორედ ამ ხედვას მიყვება და აყალებებს თავის ტექსტში ჯონ ლოკიც. ძალიან მნიშვნელოვანი განვასხვავოთ ერთმანეთისგან თავისუფლება და თვითნებობა და თავისუფლება განსხვავდება სწორედ ბუნებითი კანონის მიყოლით,ანუ ბუნებითი კანონი არის ის,რომ არ შეიძლება ავსახოთ რა სხვისი სიცოცხლის და საკუთრების ხელყოფა იმიტომ რომ ის ღმერთიდან მოდის ეს არის ლოკის აზრით,ეს შეზღუდვა არის ბუნებითი კანონი,ოღონდ ის ვიღაცამ კიარ დააწესა ეს თვითონ ჩვენ საკუთარი გონებით მივედით აქამდე და აი,ამ პრინციპს,რომ მივყვებით,ამით,რომ ვიზღუდავთ ჩვენ თვითონ თავს და ამით ჩვენს იმპულსებს და ვნებებს ვიზღუდავთ,ამით ვართ თავისუფლები და ეს არის თავისუფალი ინდივიდების საზოგადოება და ბუნებრივია,რომ შედეგი არის ის,რომ ეს აღარ არის „ომი ყველასი,ყველას წინააღმდეგ“. ნუ,შეიძლება თქვას,რომ ადამიანებს აქვთ ეს საერთო რწმენა,საერთო შეხედულება,მორალური კონსესუსი დღევანდელი ტერმინებით,რომ ვთქვათ არსებობს საზოგადოებაში,რომ სიცოცხლე თავისუფლება და საკუთრება ხელშეუხებელია და შესაბამისად ისეთი ადამიანების საზოგადოება ვერ იქნება „ომი ყველასი,ყველას წინააღმდეგ“. ეს არ ნიშნავს,რომ აქ არის სრული ჰარმონია ლოკს ესმის,რომ ყველა ადამიანი ასეთი არ არის.ყოველ საზოგადოებაში გამოერევა ისეთი ადამიანი,რომელიც ასე ვთქვათ აფექტებს,ბოროტ ვნებებს აყვება და მოინდობებს სხვა ადამიანების სიცოცხლის და საკუთრების,მაგრამ ეს არ არის უმრავლესობა და ადამიანებს შეუძლიათ გაერთიანდნენ ასეთი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ანუ აქ შეგვიძლია ვთქვათ,რომ ლოკს აქვს უკვე სამოქალაქო საზოგადოების ცნების ერთგვარი ჩანასახი.მართალია,ის ამ ტერმის ასე ნათლად არ ხმარობს,როგორც შეიძლება დღეს ვიხმაროთ ხანდახან მასთან სამოქალაქო საზოგადოება არის სინონიმი სახელმწიფოსი,მაგრამ ის რასაც აღწერს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ,რომ ეს სამოქალაქო საზოგადოების ცნების ჩანასახია როგორც ვთქვი.ნუ,კერძოდ რას ნიშნავს სამოქალაქო

საზოგადოება ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს იმას,რომ საზოგადოებას აქვს რაღაც საერთო ინტერესები,გაცნობიერებული საერთო ინტერესები და ამ საერთო ინტერესების დაცვის უნარი. ანუ საზოგადოება ერთიანდება,ადამიანები ერთიანდებიან ამ საერთო ინტერესის გარშემო დ ეს საერთო ინტერესი არის სწორედ ყველას,ინდივიდების სიცოცხლის და საკუთრების დაცვა. ნუ,ადამიანებს ესმით,რომ არარაციონალურია მხოლოდ ადამიანმა იფიქროს საკუთარ თავზე,საკუთარ სიცოცხლეზე და საკუთარ საკუთრებაზე, მათ გონებას იმის გასააზრებლად იყენებენ გონებას და იაზრებენ,რომ თუ ვიღაცამ ხელყო სხვისი ვიღაცის საკუთრება ვთქვათ,მან შეიძლება ჩემი საკუთრებაც ხელყოს,თუ ადამიანი ვიღაცის მიმართ ჩაიდენს ძალადობას მან შეიძლება ჩემ მიმართაც ჩაიდინოს ძალადობა. ამიტომ ჩვენ ჩვენი საერთო ინტერესები ნომრმალური ასე ვთქვათ ბუნების კანონის დამცველის ადამიანების ინტერესი ერთად დაუპირისპირდეთ ძალადობას,ერთად დავუპირისპირდეთ ბოროტმოქმედებას. ამიტომ ადამიანს აქვთ ბუნებით მდგომარეობაში ბუნებითი უფლება არამარტო თავდაცვის უფლება ასე ვთქვათ ჰობსი ლაპარაკობს,ამბობს და რაც სრულიად ბუნებრივია,არამედ დამნაშავის დასჯოს უფლება მე მაქვს. თუ დავინახე თუ ვიღაცა ვთქვათ იპარება ვიღაცის სახლში,მე მაქვს უფლება დავსაჯო ის ადამიანი,ის ქურდი თუნდაც არც ვიცნობდე საერთოდ იმ ადამიანს ვის სახლშიც ის იპარება,იმიტომ რომ მესმის,რომ დამნაშავე არის ყველა ჩვენგანის მტერი,დღეს ერთს გაქურდავს,ხვალ სხვას. ამიტომ შეუძია,ადამიანებს შეუძლიათ დამნაშავის დასჯა ისე,რომ ჯერ სახელმწიფო ჯერ არ არსებობს,ასევე მათ შეუძლიათ განსაზღვრონ,როგორი სასჯელი იქნება სწორი,ანუ მათ შეუძლიათ უბრალოდ რაციონალურად შეიმუშაონ სათანადო,ან სიმეტრიული სასჯელის ცნება ისე,რომ სახელმწიფო ჯერ არ არსებობს და კერძოდ ორი პრინციპია,რომელზეც საუბრობს ლოკი,რომელიც შეგვიძლია გავიხილოთ ბუნებრივი,ბუდებითი სამართლის პრინციპები ერთი არის ის,რომ ჩვენ სასჯელი ისეთი უნდა იყოს,რომ უზრუველყოს,რომ ველარ გაიმეოროს ბოროტმოქმედმა თავისი დანაშაული,ანუ მას უნდა ჰქონდესშეკავების ფუნქცია,მეორეს მხვრივ მას უნდა ჰქონდეს ზარალის ანაზღაურების ფუნცია,ასე,რომ თუ ვთქვათ ვიღაც დამნაშავემ ვიღაცას რაღაცა წაართვა,სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებ ,მაგრან თუ რაღაც ქონება წაართვა ის მხვერპლს უნდა დაუბრუნდეს. აი,ეს არის ასე ვთქვათ რაციონალური სასჯელი,ანუ ეს არის საკმარისი გარანტია იმისა,რომ ჩვენ დავიცვათ ის საერთო ინტერესი,რომელიც აი ჩვენ გვაქვს საკუთრების ინტერესი,ანუ ფართოდ გაგებული საკუთრების ინტერესი,რომელიც სიცოცხლეს და თავისუფლებასაც მოიცავს,მაგრამ ვთქვათ წამება ან რაღაც ნუ,ზედმეტი დასჯა,რომელიც ნუ,ჩვენი ემოციური გაბრაზებიდან გამომდინარეობს ეს არ არის რაციონალური,ამიტომ ამის გამართლება არ შეიძლება ბუნებით მდგომარეობაში.

მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ,რომ ლოკის აზრით ლოკის თეორიაში,მართალია ის ჯერ ამ აზრით ამ თეორიას არ ხმარობს,მაგრამ უკვე არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი,საზოგადოების საერთო ინტერესი,არსებობს რაღაც შეზღუდვები რასაც ის ეძახის ბუნებით კანონებს,რომელიც აღარ არის ინდივიდის ინტერესი დაიცვას თავი,არამედ არის საზოგადოების ინტერესი,ასებობს საზოგადოების ინტერესის გაცნობიერება,გააზრება,ადამიანთა უმრავლესობის მიერ, იმ ადამიანების ვინც არ არიან

ბოროტმოქმედები და დამაშავეები და არსებობს გარკვეული მექანიზმები იმისა,რომ ადამიანებმა ეს საერთო ინტერესები დაიცვან ამ აზრით შეგვიძლია ვილაპარაკოთ,რომ არსებობს რაღაცნაირი სამოქალაქო საზოგადოება და ეს სამოქალაქო საზოგადოება არის ლოგიკურად პირველადი სახელმწიფოს მიმართ,იმიტომ რომ სწორედ ამ გაცნობიერებიდამ ამოიზრდება შემდეგ სახელმწიფო,მაგრამ ნუ,ბუნებრივია შემდეგი კითხვა შეგვიძლია დავსვათ სახელმწიფო რაღად,გვინდა თუკი საზოგადოებას შეუძლია დამნაშავე დასაჯოს? ნუ,რამდენად აუცილებელია სახელწიფოს შექმნა?ხო,იმიტომ,რომ ასეთი ამ ჰობსთან საზოგადოებას არ შეეძლო. ნუ,აქ ლოკის მსჯელობა არ არის ცალსახად ცხადი და ნათელი როგორც ჰობსის მსჯელობა სახელმწიფოს აუცილებლობაზე,მაგრამ მას აქვს საკუთარი,ცხადია ძლიერი არგუმენტები.ნუ,ის ამბობს,რომ დამნაშავის მიერ,როდესაც დამნაშავე უპირისპირდება ადამიანთა უმრავლესობას ან საზოგადოებას ის პრაქტიკულად ომს უცხადებს მას, ის ამ ტერმინს იყენებს. ანუ თუ ვიღაცა არის მძარცველი,მოძალადე,მკვლელი არის ომის მდგომარეობაში საზოგადოებისთან,რომელსაც უნდა კანონით,კანონის შესაბამისად ცხოვრება და ამ დამნაშავის დასჯა და უვნებელყოფა იქნება ომის დასრულება,მაგრამ ეს ომის დასრულება არის ძალიან რთულიბუნებით მდგომარეობაში,იმიტომ რომ ყოველთვის არის ვიღაც დამნაშავე ამიტომ საზოგადოება ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს ამ დამნაშავეებთან ბრძოლაში.კი ბატონო, ერთს დაიჭერ,მაგრამ ამასობაში ვიღაცამ სხვამ ჩაიდინა რაღაც სხვა დანაშაული,შეიძლება ვიღაცა ვერ დაიჭირო,ვიღაცავ ასე ვთქვათ „გაუვიდეს“ დანაშაულის ჩადენა და ამიტომ პრაქტიკულად აქაც ვიღებთ მეტ-ნაკლებლად მსგავს ვითარებას,როდესაც ომი ვერ სრულდება,ანუ საზოგადოება არის ყოველთვის ომის მდგომარეობაში. ეს არ არის ომი „ყველას ომი,„ყველას წინააღმდეგ” ჰობსისგან განსხვავებით,მაგრამ ეს არის მაინც ომის მდგომარეობა,იმიტომ რომ საზოგადოება ვერ მოისვენებს,ყოველთვის მას რაღაც საფრთხე ემუქრება. ნუ,გარდა ამისა კი სამართალი კი,რაღაცნარად აღსრულდება ხანდახან ბუნებით მდგომარეობაშიც,მაგრამ აქ ჩვენ ნაკლები გვაქვს შანსი,რომ ეს სამართალი ასრულდება ადეკვატურად ,იმიტომ რომ გამსჯელი დამნაშავისა არის თვითონ მსხვერპლი. ძალიან ძნელია,რომ მსხვერპლი იყოს მიუკერძოებელი,მართალია ჩვენ კი გააზრებული გვაქვს ზოგადად რა არის ადეკვატური სასჯელი,მაგრამ არა გვაქვს იმის გარანტია,რომ მსხვერპლი ამ ადეკვატურ სასჯელს მიუზღავს დამნაშავეს. ამიტომ ჩვენ ყველანი ვიაზრებთ,ბუნებითი კანონის შემსრულებელი ადამიანები,რომ გვჭირდება სახელმწიფო როგორც სპეციალური ასე ვთქვათ სპეციალური ორგანიზაცია,სპეციალური ორგანო,რომელიც მოუვლის ამ საქმეს და ჩვენ გადავცემთ დამნაშავის დასჯის.სახელმწიფოს გადავცემთ,სახელმწიფო ორგანოებს გადავცემთ დასჯის ბუნებით უფლებას. და რათქმაუნდა თუ აუცილებელი,თუ გადაუდებელი თავდაცვის ვითარებაა,როდესაც მე დამესხა თავს მძარცველი და პოლიციას ვერ დაუძახებ,მე თვითონ ვიცავ თავს,მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაშ და უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეებთან ბრძოლოლის და წესრიგის დაცვის ფუნქციას გადავცემთ სახელმწიფოს,რომელსაც სპეციალური ორგანოები აქვს ამისთვის რასაც დღეს ვეძახით პოლიციას სასამართლოს,პენიტენციალურ სისტემას და ა.შ. და ვქმნით ასეთ ორგანიზაციას ჩვენი კონკრეტული იდეების განსახორციელებლად.

ამრიგად ჩვენ ლოკთან მივიღეთ სახელმწიფო მაგრამ ეს არის მაინც პრინციპულად სხვა ტიპის სახელმწიფო სხვა ლეგიტიმურობის საფუძველი აქვს მას ვიდრე ჰობსის მიერ წარმოსახულ სახელმწიფოს თუ ჰობსის შემთხვევაში ჩვენ მთლიანად გადავცემთ სახელმწიფოს ძალადობის უფლებას ფაქტიურად მას ვაძლევთ საკუთარ თავზე ძალადობის უფლებას ლოკის მიხედვით ჩვენ ვაძლევთ გაცილებით უფრო ვიწრო და დაკონკრეტებულ უფლებას დამნაშავის დასჯის უფლებას ანუ სახელმწიფო უკვე იმთავითვე შეზღუდულია კონკრეტული ფუნქციით რომელსაც მას საზოგადოება აძლევს ანიჭებს მაგრრამ ამავე დროს ჩვენ ვრჩებით ინდივიდები თავისუფალი ადამიანები ოღონდ ეს თავისუფლება რამდენადმე გასხვავებულია თუ ჩვენ უკვე ვთქვით რომ ერთმანეთისგან ვანსხვავებთ თავისუფლებას და თვითნებობას და თავისუფლება ეს არის მოქმედება ბუნებითი კანონის ფარგლებში და ანუ გონივრულობის ფარგლებში პრაქტიკულად ნუ სახელმწიფოში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სამოქალაქო თავისუფლებაზე ანუ თავისუფლებაზე რომელიც შაეზღუდულია არა მხოლოდ გონებით მიკვლეული ბუნებითი კანონებით არამედ აგრეთვე სახელმწიფო კანონებით სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონებით მე ვიცავ სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს მაგრამ ეს კანონებიც საბოლოო ჯამში ამ ბუნებითი კანონების დაკონკრეტებაა ის ამ ბუნებითი კანონებისგან მომდინარეობს ლოგიკურად ერთის მხრივ და მეორეს მხრი ის ჩემი მონაწილეობით არის მიღებული იმიტომ რომ ის მიღებულია პარლამენტის მიერ რომლის ჩამოყალიბებაში მე მაქვს მონაწილეობა მიღებული ასე რომ ის კანონი მართალია ის ვიღაცის მიღებულია ვიღაც ადამიანების მიღებულია ეს არის პოზიტიური კანონმდებლობა მაგრამ ის არ არის მაინც ჩემთვის სრულიად უცხო გარეგნული და თავს მოხვეული ის ისევ ჩემი მონაწილეობით და ჩემი ინტერესის დასაცავად მიღებული კანონმდებლობაა ამიტომ ეს სამოქალაქო თავისუფლება არ არის იმ ტიპის შეზღუდვა რომელიც შელახავს ჩემს თავისუფლებას ნუ რა თქმა უნდა ის შეიძლება ვთქვათ ის ჩემში უარყოფით ემოციას იწვევდეს იმ თვალსაზრისით რომ ნუ იმავე პარლამენტში ან საკრებულოში ჩემი აზრი შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს მაგრამ მე რაღაც კანონს რაღაც კანონის ფორმულირებას ინდივიდუალურად არ ვეთანხმებოდე და ვთქვათ რაღაც კოლექტიური ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში უმცირესობაში წაგებულ მხარეს აღმოვჩნდე ამ აზრით მე შეიძლება მე უნდა დავემორჩილო ისეთ კანონს რომელსაც მე პირადად მე არ მომწონს მაგრამ მე ვალდებული ვარ მას დავემორჩილო რადგან მთლიანად ეს სისტემა არის რაციონალური და ჩემთვის მისაღები მაგრამ ეს შეზღუდვა ყოველი შემთხვევისთვია არ არის ლოკის მიხედვით იმ ზომისა რომ ჩვენ ვილაპარაკოთ პიროვნების თავისუფლების არსებით შელახვაზე და იმის გამო რომ აღარ არის ისეთი დრამატული განსხვავება ბუნებით მდგომარეობასა და სახელმწიფო მდგომარეობას შორის როგორიც ჰობსის შემთხვევაში იყო ლოკის შემთხვევაშჯ ველარ ვიტყვით რომ ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო ჯობია ნებისმიერი ტიპის ბუნებით მდგომარეობას ლოკის იერარქია სხვანაირია დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ ლიბერალურ დემოკრატიული სახელმწიფო ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფო რა თქმაა უნდა ჯობია ბუნებით მდგომარეობაში ცხოვრებას მაგრამ დესპოტური სახელმწიფო უფრო უარესია ვიდრე ბუნებით მდგომარეობაში ცხოვრება დესპოტურ სახელმწიფოში ცხოვრებას ჯობია ბუნებით

მდგომარეობაში ცხოვრება იმიტომ რომ ბუნებით მდგომარეობაში მე მაქვს რაღაც მექანიზმები არასრულყოფილი არასაკმარისად ეფექტური მაგრამ არღაც მექანიზმები საკუთარი უფლებების დასაცავად მაშინ როდესაც დესპოტურ მმართველობაში მე დამონებული ვარ პრაქტიკულად და მონის მდგომარეობაში ვარ და საკუთარი თავის დაცვის მექანიზმებიც აღარ მაქვს უკვე წართმეული მაქვს ასე რომ ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განსხვავება რომელიც სწორად ლიბერალურ ცნობიერებას განასხავავებს არალიბერალური შეხედულებისგან რომ სხელმწიფო არის სიკეთე და სახელმწიფო მდგომარეობა ჯობია ვთქვათ ანარქიულ მდგომარეობას მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის შეიძლება წარმოვიდგინოთ ისე დესპოტური სახელმწიფო რომელზეც ვიტყვით რომ ჯობია აერთოდ არ იყოს ასეთი სახელმწიფო და საერთო ბუნებით მდგომარეობაში გვეცხოვრა. სანამ გადავიდოდეთ საკითხზე თუ რა ვქნათ ასეთ დესპოტურ სახელმწიფოში უნდა ვისაუბროთ კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე რომელიც ასევე მნიშვნელოვანი წვლილია ლოკისა პოლიტიკურ აზრივნებაში ეს არის სახელმწიფოსა და შრომის განსაკუთრებით მნიშვნელობაზე ანუ საკუთრების ეკონომიკის და თავისუფლების ურთიერთკავშირზე ნუ აქაც საკუთრებაზე მსჯელობასაც ლოკი იწყებს გარკვეულად რელიგიური მსჯელობით ის ამბობს რომ მე როგორც ადამიანი ვარ სხეულებრივი არსება ეს არი ღმერთის ნება . ღმერთმა მე შემქმნა სხეულებრივ არსებად და რაკი ასეა ესეიგი მას უნდა რომ მე ეს სხეული შევინარჩუნო ეს სხეული შევინახო ამ სხეულზე ვიზრუნო ანუ ის გამოვკვებო მატერიალურ ინტერესებზე ვიზრუნო და ამისთვის მან კაცობრიობას მთლიანად კაცთა მოდგმას მისცა საკუთრებათ დედამიწა ბუნებრივი რესურსები ანუ რაღაც საწყისი მდგომარეობა როგორც ბუნებითი მდგომარეობის ანალოგიური არის ვითარება არის მთელი ბუნებრივი რესურსები ეკუთვნის მთელ კაცობრიობას და არის საერთო საკუთრება როგორც ამოსავალი მაგრამ აი ამ საერთო საკუთრებიდან ბუნებრივად ჩნდება მერე კერძო საკუთრება და ამას არ სჭირდება რაღაც სახელმწიფო კანონები და საჯარო რეესტრი ვთქვათ სიტყვაზე სადაც ეს საკუთრება გაფორმდება და ამ საკუთრებას ქმნის შრომა ანუ შრომა ბუნებრივ რესურსს ქმნის გარდაქმნის ჩემს საკუთრებად აი ეს მარტივი და პრიმიტიული მაგალითი.ველური ადამიანის ნების წარმოსახვითი ცხოვრებიდან რომელსაც ლოკი იყენებს არის რკო, ველური ადამიანები იკვებებიან რკოთი ყრია ტყეში რამდენიც გინდა და ეს არის ყველასი როდესაც ე დავიხრები დ ავიღებ ამ რკოს ხელში და მის შეჭმას მოვინდომებ იმ წუთიდან ეს რკო არის ჩემი და გამზადებულია იმისათვის რომ მე ეს ვჭამო.ანუ რამ გახადა ეს რკო ჩემი ეს გახადა ჩემმა ძალისხმევამ დავინახე დავიხარე ხელი მოვკიდე და ავწიე ნუ ეს რაღა ელემენტარული შრომითი აქტია.რაღაც გავაკეთე რომ ეს რკო გახდეს ჩემი და ამ თვალსაზრისით არავიან არ შემედავება მე რომ ეს რკო მართლაც ჩემია იმიტომ რომ ეს მე პირველმა დავინახე და ავიღე ნუ ეს ცხადია პრიმიტიული და მარტივი მაგალითია უფრო მნიშვნელოვანი ადამიანისთვის არის მიწა და მიწაზე საკუთრება და ნუ რა ქმნის ამ მიწაზე საკუთრებას, მიწაზე საკუთრებას ქმნის მისი დამუშავება მე თუ შემოვფარგლე მიწის ნაკვეთი და ის დავამუშავე ანუ მასში შრომა ჩავდე ამით მოსავალიც ჩემი ხდება მოსავალი რომელიც შედგება ერთის მხრივ შრომისაგან და მეორეს მხრივ იმ მიწის რესურსისგან რომელიც აი ამ თესლს გადააქცევს ნაყოფად ნუ აი ეს ჩემი ჩადებული

მიწაში ჩადებული შრომა ქმნის საკუთრება ამის შემდგომ ეს ხდება ჩემი და ნუ ლოკს შეგვიძლია ეჭვი გაგვიჩნდეს რომ ხომ არ გამოიწვევს საკუთრება კონფლიქტს იმიტომ რომ ვთქვათ სხვასაც მოუნდება მიწის დამუშავება ლოკი უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი ის თვლის რომ ეს არ გამოიწვევს კონფლიქტს ნუ ზოგიერთი ფიქრობს რომ მას უკვე გარკვეული ცოდნა ჰქონდა ამერიკის კოლონიებზე უკვე ამერიკელების დასახლება დაწყებული იყო ბრიტანელების მიერ და აი იქ საკმარისი მიწა იყო ყველასთვის მსოფლიოში საკმარისი მიწაა იმისათვის რომ ყველლა გამოკვებოს ასე რომ რესურსი არის საკმარისი მთელი კაცობრიობისთვის და მეორეს მხრივ რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია არის მოხმარების ბუნებრივი საზღვარი ანუ ერთ ადამიანს სჭირდება იმდენი რასაც თვითონ და ოჯახის წევრები შეჭამენ მეტი უბრალოდ არ სჭირდება.